2018-2023 წწ გამოცემული მონოგრაფიები, წიგნები

2018 წელს გამოცემული

1.გ.წულუკიძე;

„ავეჯის დიზაინი“,

2018 წ. თბილისი, სტუ; ISBN 978-9941-28-010-8;

ანოტაცია: წიგნში განხილულია ავეჯის დაპროექტების ძირითადი პრინციპები, წარმოშობის ისტორია, ეტაპები და სტილები. კურსის მიზანია სტუდენტს ასწავლოს სხვადასხვა დანიშნულების მქონე ინტერიერისთვის განკუთვნილი ავეჯის ინდივიდუალური და კომპლექსური დაპროექტება.

სალექციო კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

2.გ.წულუკიძე; Дизайн мебели,

2018წ. თბილისი, სტუ; SBN 978-9941-28-120-4

ანოტაცია: წიგნში განხილულია ავეჯის დაპროექტების ძირითადი პრინციპები, წარმოშობის ისტორია, ეტაპები და სტილები. კურსის მიზანია სტუდენტს ასწავლოს სხვადასხვა დანიშნულების მქონე ინტერიერისთვის განკუთვნილი ავეჯის ინდივიდუალური და კომპლექსური დაპროექტება.

სალექციო კურსი განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტებისთვის.

3.თ. ჩიგოგიძე;

ინტერიერის დაპროექტება;

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; 2018; ISBN 978-9941-28-025-2;

ანოტაცია: ინტერიერის დიზაინის ისტორია იქმნებოდა ისტორიული მოვლენების, უამრავი ადამიანის და სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენით. მაგრამ თქმა იმისა, რომ ინტერიერის დიზაინი სრულიად დასრულებული ფენომენია - არასწორია. ხელოვნება ვერ გაჩერდება, ის

ვითარდება, რეგულარულად იცვლება, იძენს ახალ ფორმებს. ნაშრომში განხილულია ინტერიერის ძირითადი მახასიათებლები, ფუნქციონალურ--სივრცითი წყობისა და კომპოზიციური ფორმირების თავისებურებანი, ასევე ინტერიერის კომპოზიციური პრინციპები და ელემენტები.

4.Т. Чигогидзе;

Проектирование интерьера;

Грузинский технический университет; 2018; ISBN 978-9941-28-013-9 (PDF);

ანოტაცია: ინტერიერის დიზაინის ისტორია იქმნებოდა ისტორიული მოვლენების, უამრავი ადამიანის და სხვადასხვა მიმდინარეობის გავლენით. მაგრამ თქმა იმისა, რომ ინტერიერის დიზაინი სრულიად დასრულებული ფენომენია - არასწორია. ხელოვნება ვერ გაჩერდება, ის ვითარდება, რეგულარულად იცვლება, იძენს ახალ ფორმებს. ნაშრომში განხილულია ინტერიერის ძირითადი მახასიათებლები, ფუნქციონალურ--სივრცითი წყობისა და კომპოზიციური ფორმირების თავისებურებანი, ასევე ინტერიერის კომპოზიციური პრინციპები და ელემენტები.

5.Т. Чигогидзе;

Стили интерьера;

Грузинский технический университет; 2018; ISBN 978-9941-20-996-3 (PDF);

ანოტაცია: ნაშრომში განხილულია შენობების ინტერიერის ეპოქალური, ეთნიკური და თემატური სტილისტური ტენდენციები, მათი თავისებურებები და განვითარების ეტაპები. ასევე ავეჯის და აქსესუარების გამოყენება სხვადასხვა სტილისტური გადაწყვეტილებების შესაბამისად.

6.ლ.ბერიძე. ლ.ხულორდავა (მაგისტრანტი), გ. აბულაშვილი, მზევინარ ღამბარაშვილი (გაგაძე);

მონოგრაფია: „ენერგოეფექტურობის პრინციპები ტრადიციულ ქართულ არქიტექტურაში“;

ქ. თბილისი 2017, გამომცემლობა „მერიდიანი“; ISBN 978-9941-10-250-1

ანოტაცია: როგორც წიგნის სათაურიდან ჩანს, მისი შინაარსი მიზნად ისახავს ტრადიციული ქართული არქიტექტურისკენ მიბრუნებას, ხალხური მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შედეგად მიღებული იმ გადაწყვეტილებების, პრინციპების მოძიებას და კვლევას, რომლებიც ასე აქტუალური გახდა დღევანდელ დღეს.

წიგნის იდეა მდგომარეობს, კვლევის საფუძველზე იმის შეფასებაში, თუ რამდენად ითვალისწინებდენ, ტრადიციულ ქართულ არქიტექტურაში – გლეხური სახლების მშენებლობისას – ენერგოეფექტურ პრინციპებს, რამდენად ესმოდათ ამის აუცილებლობა და რა ხერხებს და სამშენებლო საშუალებებს იყენებდენ ამის მისაღწევად.

შესწავლილია და გაანალიზებულია ტექნიკური, მეცნიერული და ისტორიული ლიტერატურა, სხვადასხვა მკვლევარების ექსპედიციის მასალები და ანაზომები. ასევე გამოყენებულია წიგნზე მომუშავე ჯგუფის მიერ, ადგილებზე გასვლის შედეგად მოპოვებული მასალები, ჩანახატები, ანაზომები და ფოტომასალა.

ამ მასალაზე დაყრდნობით მოხდა ქართული გლეხური სახლების მდგომარეობის შეფასება ენერგოეფექტური პრინციპების გამოყენების კუთხით.

წიგნში მოცემულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონის გლეხური სახლების, ყველა ტიპოლოგიური ჯგუფის წარმომადგენლების კომპლექსური ანალიზი, მათი ენერგოეფექტურობის ხარისხის შეფასებით.

წიგნი ილუსტრირებულია ტექსტის შესაბამისი ნახაზებით, ცხრილებით, გრაფიკებით, ანაზომებით, ფოტოსურათებით. შედგენილია და წიგნში განთავსდა რეგიონების კლიმატური პასპორტები.

ავტორების აზრით წიგნი საინტერესო იქნება, როგორც პროფესიონალებისთვის, ასევე ჩვეულებრივი მკითხველისთვისაც.

7.ნ.ხაბეიშვილი, მ.ხაბეიშვილი; წიგნი - თავი 5 (Part -5: Urban Designs):

Social Mood Indicator - Modern Graffi;

Lisbon. Publisher: Archi&Book s. 2018; ISBN 978-989-97265-2-9;

ანოტაცია: წიგნის მე-5 თავში ლოგიკურად ახსნილია რომ თანამედროვე გრაფფიტი წმინდა მარგინალური მიმართულებიდან თანდათან გადადის სამართლებრივი ხელოვნების ფორმაში და სხვაგვარად ახდენს თავისი შემოქმედების რეპრეზენტაციას საქალაქო გარემოს არაერთგვაროვან საინფორმაციო შრეში. ეს რაოდენობრივი და ხარისხობრივი ტრანსფორმაცია აისახა მასთან სინთეზირებულ ხელოვნების სხვა სფეროებზეც. არქიტექტურის კონტექსტში იგი ემსახურება რა გარემოს ჰარმონიზაციას და ინდივიდუალიზაციას სთავაზობს საზოგადოებას თვითიდენტიფიკაციის და კომუნიკაციის ახალ გზებს.

8.ქ. სალუქვაძე, ნ. კოპალიანი, ი. ყიფიანი;

„ამერიკის სოფლის მოსახლეობა, თემები, ურბანიზაცია და ეკონომიკური გამოწვევები 21-ე საუკუნეში“;

გამოცემის ადგილი და გამომცემლობა - სტუ; 2018

ანოტაცია: ნაშრომის ამოცანას წარმოადგენს, სტუდენტებს და ფართო საზოგადოებას გააცნოს ამერიკის სოფლის მოსახლეობასთან დაკავშირებული მიდგომები, ურბანიზაციის პრობლემები, ეკონომიკური გამოწვევები.აქტუალობას კი წარმოადგენს ამერიკის სოფლის მაცხოვრებლების და თემების პრობლემების იდენტიფიცირების და მათი გადაჭრის გზების შესწავლა.

2020 წელს გამოცემული

9.ლია ლურსმანაშვილი/Lia Lursmanashvili

მონოგრაფია: „ეროვნული სამოსის ილუსტრირებული ცნობარი“

ნ.დოლიძე; გ.კვანტიძე და სხვ.

წიგნი გამოიცა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით (გრანტი N SP-19-514) აწსუ. ISBN 978-9941-484-11-7; 2020წ. 406გვ.

წინამდებარე სისტემატიზირებული ნაშრომი ქართული ეროვნული სამოსის შესახებ, ავტორთა ჯგუფის მოკრძალებული წვლილია ქართული ეროვნული სამოსის შესწავლისა და მომავალი თაობებისათვის გადაცემის სახეში. მასში უძველესი წერილობითი წყაროების, იკონოგრაფიული მასალების, საქართველოს მუზეუმებში დაცული ქართული ეროვნული სამოსის კოლექციებისა და სამეცნიერო შრომების ანალიზის საფუძველზე განხილულია ქართული ეროვნული სამოსის ჩამოყალიბების პროცესი უძველესი დროიდან XX საუკუნის პირველი ნახევრის ჩათვლით, მოცემულია საქართველოს სხვადასხვა კუთხის სამოსის სახეობები, ფორმები და მათი შედარებითი ანალიზი. აღწერილია სამოსის დამზადებისათვის გამოყენებული მასალები, მათი დამზადების ხალხური ტრადიციები და შემკულობა. ავტორთა ჯგულფის მიერ პირველად არის წარმოდგენილი თანამედროვე კონსტრუქტორული და ტექნოლოგიური დაგეგმარების მეთოდების შესაბამისად დამუშავებული საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ტრადიციული სამოსის ფორმები და ტექნოლოგიური დამუშავების სქემები, რაც მეტად მნიშვნელოვანია მომავალი თაობებისთვის მათი უცვლელი, პირვანდელი სახით გადაცემის საქმეში. ნაშრომს თან ერთვის ქართული ეროვნული სამოსის ტერმინთა ილუსტრირებული, განმარტებითი ლექსიკონი.

2022 წელს გამოცემული

10.ნ.შავიშვილი,თ.ჩუბინიძე

მონოგრაფია: ,,მიმდინარე ქართული არქიტექტურის განსხვავებული სახე სახეცვლილი დეკორი საერთაშორისო და ქართულ ხუროთმოძღვრებაში”

2022წ/. ქ.თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი,CD

საერთაშორისო სტანდარტული კოდი ISBN.SBN 978-9941-28-928-6

მოკლე ანოტაცია,

ამ წიგნის ავტორთა განძრახვა იყო, მკითხველისთვის შეეთავაზებინათ საკუთარი შეხედულება მიმდინარე ქართულ არქიტექტურაზე, რომელიც ეყრდნობა მასში დეკორის სახეცვლილ დაბრუნებას. ამგვარი დაბრუნება მსოფლიოს ხუროთმოძღვრების განვითარების დღევანდელ ეტაპს ახასიათებს. ხაზგასასმელია, რომ ტერმინი „დეკორი“ (ფრ. décor) ამ წიგნში გამოყენებულია სპეციალიზებულ ლიტერატურაში მიღებული შემდეგი გაგებით: „ოთახის, შენობის და მათი მაგვარის დეკორირების [მორთვის] სტილი ან მოდა“ , მასთან გაიგივებულ „ორნამენტაციის“ ცნებასთან ერთად, ამიტომ ნაშრომის ტექსტში ხშირად შეგვხდება „დეკორის“ და „ორნამენტის“ სინონიმებად გამოყენება.

დეკორი (ორნამენტი) მატერიალური კულტურის იმ ელემენტთაგანია, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენდა არქიტექტურის კომუნიკაციის საშუალებას საკუთარ მომხმარებელთან. მეოცე საუკუნის დასაწყისში მოდერნიზმმა იგი უარყო.

ამ ორივე მიმართულებით მიმდინარე საუკუნეში ქართულ არქიტექტურაშიც მნიშვნელოვანი პროცესები მიმდინარეობდა. ამ წიგნის მიზანია მათი და საერთაშორისო ტენდენციებისა და დინებების რეგისტრირება, აღწერა, ერთგვარი კლასიფიცირება, დასკვნების გამოტანა და მკითხველისთვის შეთავაზება.

შესაბამისად, წიგნის ავტორებმა ჩატარებული სამუშაოს ფარგლებში გამოიკვლიეს როგორც დეკორის ელიმინაციისა და სახეცვლილი დაბრუნების საერთაშორისო ისტორია, ასევე საქართველოში ამ პროცესების სპეციფიკური გამოვლინებები, ურბანულ ერთეულთა და შენობათა ახალი ტიპოლოგია მათი ნიშნების აღწერითა და კლასიფიცირებით. წიგნის მომზადების პერიოდში აგრეთვე ჩატარდა დეკორის სახეცვლილი დაბრუნების საერთაშორისო და ქართული გამოცდილების შედარებითი ანალიზი, რისი გარკვეული შედეგები ასევე მკითხველთა საყურადღებოდაა გამოტანილი.

ავტორები ეცადნენმოეხდინათ მიმდინარე საუკუნის ქართული არქიტექტურის კლასიფიკაცია ტიპოლოგიის მიხედვით და ჩაეტარებინათ ურბანული ერთეულებისა და შენობების ტიპების ერთგვარი შედარებითი ანალიზი; წიგნის თემისთვის მნიშვნელოვან ობიექტებს მიუსადაგეს გარკვეული გეომეტრიული მოდელები და გამოავლინეს მათი ძირითადი თვისებები; ნაშრომის მომზადების დასკვნით ნაწილში, მოდელების განზოგადოების და ობიექტების თვისებების გამოვლენის შედეგად, ჩაატარეს გამორჩეული ობიექტების კრიტიკული ანალიტიკური შეფასება და მკითხველს შესთავაზეს ქართული არქიტექტურის მომავალი განვითარების პრიორიტეტებისა და მიმართულებების საკუთარი ხედვა.

პირველად სპეციალიზებულ ლიტერატურაში თანამედროვე ქართული არქიტექტურის შესახებ, წინამდებარე წიგნის ავტორები შეეცადნენ დაედგინათ ურბანულ ერთეულთა და შენობათა ამჟამად მოქმედი ტიპები და შემოეთავაზებინათ ავტორებისთვის სასურველი და, მათი შეხედულებით, ქართული საზოგადოებისთვის მისაღები არქიტექტურის განვითარების გზები და მეთოდები.

ორნამენტირებული შენობისა და შენობა-ორნამენტის ტიპოლოგიები მიმდინარე ქართული არქიტექტურის შესახებ ლიტერატურაში ამ ნაშრომამდე არ განხილულა. როგორც წიგნის მომზადების ფარგლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ ცხადყო, ორნამენტირებული შენობები და შენობა-ორნამენტები წამყვან ადგილს იკავებენ საქართველოს ურბანიზაციის დღევანდელ ეტაპზე და მის სახეს მნიშვნელოვნად წარმოაჩენენ. ამ კუთხით მათი გამოვლენა, ტიპოლოგიური ნიშნების დადგენა, კლასიფიცირება და რეკომენდაციების გამომუშავება სიახლეს წარმოადგენს.

ზემოთმოყვანილი ამოცანების შესრულების და ნაშრომის მიზნების მისაღწევად წიგნი იწყებაშესავალით, ვითარდება პირველ თავში, რომელშიც საერთაშორისო ლიტერატურაა მიმოხილული, გრძელდება მეორე თავით, სადაც მოყვანილი და განსჯილია კვლევის შედეგები, და სრულდება მესამე თავით, რომელიც გვთავაზობს დასკვნებსა და რეკომენდაციებს.